2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში
მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის
სამთავრობო კომისიის სამდივნო

2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების პირველადი გადარჩევის შედეგების დამტკიცების შესახებ

ოქმი №1

თბილისი

10-13 თებერვალი 2016 წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №623 დადგენილების თანახმად, 2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისათვის წარდგენის მიზნით შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი – შალვა თადუმაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე – მამუკა ვასაძე;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე – ეკა ბესელია;
- საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე – ვახტანგ ხმალაძე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – მზია თოდუა;
- საქართველოს სახალხო დამცველი – უჩა ნანუაშვილი;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე – ზაზა ხატიაშვილი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი – ირაკლი ბურდული;
- კოალიციის – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ – წარმომადგენელი – ანა ნაცვლიშვილი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №623 დადგენილებით დამტკიცებული „2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის“ მე-7 მუხლის თანახმად, 2016 წლის 10 თებერვალს კომისიის წევრებს მათ მიერ დადასტურებულ ელექტრონულ მისამართებზე დასამტკიცებლად წარედგინათ სამდივნოს მიერ საკონკურსო განაცხადების პირველადი გადარჩევის შედეგები.

კერძოდ, წარდგენილ იქნა ყველა, დაინტერესებული 47 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები და მითითებულ იქნა, რომ პირველადი გადარჩევის შედეგად სამდივნო მიიჩნევდა, რომ მათგან მხოლოდ 13 კანდიდატი აკმაყოფილებდა მოთხოვნებს იმგვარად, რომ გადასულიყო შერჩევის მეორე - ენის ტესტირების ეტაპზე.

სამდივნოს წარმომადგენელთან 2016 წლის 11 თებერვალს შემდგარი სატელეფონო კომუნიკაციით ელექტრონული გზავნილის მიღება დანართებითურთ დაადასტურა კომისიის ყველა წევრმა. ზოგიერთმა წევრმა ასევე დაადასტურა ელექტრონული გზავნილის მიღება დანართებითურთ საპასუხო მეილის საშუალებით.

კომისიის სამდივნოს 2016 წლის 10 თებერვლის ზემოხსენებული ელექტრონული გზავნილის თანახმად, კომისიის წევრებს 2016 წლის 13 თებერვლის 17 საათამდე უნდა ეცნობებინათ სამდივნოსათვის საკუთარი მოსაზრება პირველადი გადარჩევის შედეგებთან დაკავშირებით. თანხმობა შეიძლებოდა გამოხატულიყო როგორც სათითაოდ კანდიდატის შეფასებით, ასევე ზოგადი თანხმობის სახით პირველადი შერჩევის შედეგად გამოკვეთილი 13 კანდიდატურის დადასტურების ფორმით. კომისიის წევრებისთვის, ასევე, ცნობილი იყო, რომ პირველადი გადარჩევის შედეგები დამტკიცებულად ჩაითვლებოდა, თუ კომისიის რომელიმე წევრი არ გამოთქვამდა რაიმე აზრს ზემომითითებულ ვადაში.

კომისიის 5 წევრმა (ხ. თოთლაძე, ვ. ხმალაძე, ე. ბესელია, უ. ნანუაშვილი, ი. ბურდული) განაცხადა, რომ ეთანხმებოდა პირველადი შერჩევის შედეგებს, ერთმა წევრმა (ზ. ხატიაშვილი) განაცხადა, რომ 13 შერჩეული კანდიდატურიდან სამი (თ. ალანია, ა. ბარამიძე, ე. გოცირიძე) უნდა ყოფილიყო ამორიცხული, რადგან ისინი არ აკმაყოფილებდნენ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №623 დადგენილებით დამტკიცებული „2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის“ მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს („აქვს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაცია“), ხოლო დანარჩენმა 5 წევრმა (თ. წულუკიანი, შ. თადუმაძე, მ. ვასაძე, მ. თოდუა, ა. ნაცვლიშვილი) თანხმობა გამოხატეს კომისიის სამდივნოს მიერ განსაზღვრული ჩუმი პროცედურის თანახმად.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №623 დადგენილებით დამტკიცებული „2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

შესაბამისად, კომისიის მიერ დამტკიცებულად ჩაითვალა სამდივნოს მიერ 2016 წლის 10 თებერვალს კომისიისთვის წარდგენილი პირველადი გადარჩევის შედეგები.

ამასთან, გადაწყდა, რომ კომისიის მიერ დამტკიცებულ 13 კანდიდატს ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ოფიციალური ენის (ინგლისური ან ფრანგული) ცოდნის დონის შესამოწმებლად „British Council"-ის და ა. დიუმას ცენტრის მიერ 2016 წლის 20 თებერვალს სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში" ჩაუტარდება ტესტირება.

კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი – თეა წულუკიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – ხათუნა თოთლაძე

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი – შალვა თადუმაძე

საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე – მამუკა ვასაძე

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე – ეკა ბესელია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე –

ვახტანგ ხმალაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – მზია თოდუა

საქართველოს სახალხო დამცველი – უჩა ნანუაშვილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი – ზაზა ხატიაშვილი ეჭვი განსხვავდეს
ხელმოწერაზე. ს. (ს. ჭყოიძე)
28.02.2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი – ირაკლი ბურდული

კოალიციის – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ – წარმომადგენელი – ანა ნაცვლიშვილი